10.51364/26679604.jcpr.2022.v03i03.003

მონიკა მირზოიანი

სომხეთის რესპუბლიკის
მეცნიერებათა აკადემიის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი,
სომხეთის რესპუბლიკა
monika.mirzoyan7@gmail.com

ზოგი რამ კოსოვოს კონფლიქტის ტრანსფორმაციაზე 1990-2020 წლებში

სტატიაში განხილულია კოსოვოს კონფლიქტის წინაისტორია, ეკონომიკური, პოლიტიკური, ენობრივი, საზოგადოებრივი და ტერიტორიული პრობლემები.

ამავე დროს, შესწავლილია კოსოვოს კონფლიქტის შესაძლო მოგვარების ძირითადი პარადიგმები საერთაშორისო ურთიერთობებში 2020 წლამდე. განხილულია ასევე კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების საკითხები. კვლევის მიზანია სხვადასხვა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინება, საგარეო პოლიტიკისა და ურთიერთობების ანალიზი და კოსოვოს კონფლიქტის შემდგომი განვითარების გზების გამოვლენა. ნაშრომზე მუშაობისას, ასევე შესწავლილ იქნა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები კოსოვოს კონფლიქტთან დაკავშირებით. წარმოდგენილია კოსოვოს საგარეო პოლიტიკა სერბეთთან მიმართებით. სტატიაში განხილული მოვლენები დალაგებულია ქრონოლოგიურად მეოცე საუკუნის დასასრულიდან 2020 წლამდე.

სტატიის მიზანია კოსოვოს კონფლიქტის შესაძლო შედეგებისა და სამომავლო სცენარების განხილვა. სტატიაში წარმოდგენილია როგორც ალბანური, ასევე სერბული მოდელები.

ზემომოყვანილი მიზნების გარდა, კვლევა მოიცავდა შემდეგ ამოცანებს: კოსოვოს ამჟამინდელი სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი და ტერიტორიული პრობლემების გამოვლენა, კოსოვოს გეოგრაფიული სტრატეგიის შედეგებისა და ფუნქციების ანალიზი, კონფლიქტის დინამიკის შესწავლა და ეთნიკური შემადგენლობის ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: კონფლიქტი, იუგოსლავია, ეთნიკური წმენდა, კოსოვოს ომი, სერბეთი, ალბანეთი, ნატო, ზესახელმწიფოების შეჯიბრი.

კონფლიქტის წინაისტორია

ნებისმიერი კონფლიქტის წინაპირობაა ეთნიკური ან რელიგიური დაპირისპირება, რასაც მოჰყვება არატოლერანტობით შენიღბული ძალადობა. იქმნება სეპარატისტული ინსტიტუციები, რომლებიც კოორდინირებას უწევენ ძალადობას ან პარამილიტარისტულ ქმედებებს. ალბანეთში ისტორიული მოვლენების განვითარებამ გაამწვავა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია ბალკანეთში. ამან, თავის მხრივ, შექმნა „კონფლიქტების კერები“. მოდით ცალ-ცალკე განვიხილოთ ძირითადი პრობლემები.

1. კოსოვოს პრობლემა;
2. ალბანელების სტატუსი ბალკანეთის ქვეყნებში;
3. ალბანეთის პრეტენზიები სხვა ქვეყნების მიმართ საზღვრებთან და ეთნიკური ალბანელების სტატუსთან დაკავშირებით.
4. ეთნიკური უმცირესობების პრობლემები ალბანეთში.

კოსოვოს საკითხთან დაკავშირებით, ასევე განხილულია ალბანურ-სერბული და კოსოვო-სერბული კონფლიქტები. კოსოვოს კონფლიქტი შესწავლილია არა მარტო ალბანეთის, კოსოვოს და სერბეთის ინტერესების კუთხით, არამედ ზესახელმწიფოების პოლიტკური, ეკონომიკური და სამხედრო ინტერესების თვალსაზრისითაც.

გარდა დაპირისპირებული მხარეების - კოსოვოსა და სერბეთისა, ნატოც ძლიერ დაინტერესებული იყო კოსოვოს ომში მონაწილეობით. თუ საკითხს განვიხილავთ ნატოსა და მოსკოვის გეოპოლიტიკური ინტერესების კუთხით, ვნახავთ, რომ ისინი თავის სასარგებლოდ იყენებდნენ დასავლეთ ბალკანეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო პრობლემებს.

მოცემული ქვეყნების სუსტი ეკონომიკა არ აძლევს მოცემულ ქვეყნებს ევროკავშირში შესვლის საშუალებას. ამავე დროს, მოცემული რეგიონი წარმოადგენს ასპარეზს რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირებაში. ერთი მხრივ, დასავლეთის ქვეყნები ყველაფერს აკეთებენ ევროკავშირისა და ნატოს დახმარებით, რათა მოცემული ქვეყნები შევიდნენ დასავლურ ბლოკში. მაგალითად, ევროკავშირი მოუწოდებს ბალკანეთის ქვეყნებს, შევიდნენ ნატოში სხვადასხვა საბაბით, მათ შორის უსაფრთხოების საბაბით. ნატოს წევრობა, რომელიც ავტომატურად არ გულისხმობს ევროკავშირის წევრობას, ბრიუსელის პოლიტიკის მიერ არის წახალისებული. ასევე მნიშვნელოვანია აშშ-ს როლი. აშშ ყველაფერს აკეთებს, რათა ალიანსის წევრი ქვეყნების რაოდენობა გაზარდოს. აშშ ასევე მხარს უჭერს ბალკანეთის ქვეყნების გაწევრიანებას ევროკავშირში. თავის მხრივ, რუსეთი ძალღონეს არ იშურებს, რომ ხელი შეუშალოს მოცემული რეგიონის ქვეყნების ნატოში გაწევრიანებას. მოსკოვსა და ნატოს შორის დაპირისპირების პირობებში, ევროკავშირის პოზიცია დასავლეთ ბალკანეთთან მიმართებით გულისხმობს მოცემული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მხარდაჭერას.

უნდა აღინიშნოს, რომ კოსოვოს კონფლიქტის მნიშვნელოვანი თავისებურებაა რელიგიური მემკვიდრეობის სისტემატიური ნგრევა (ძირითადად ეს ეხება მართლმადიდებელ სერბებს), რომელიც დაიწყო არა ომის პერიოდში, არამედ 1999 წლის ომის შემდგომ. ეს იყო პოლიტიკური შურისძიება და არა ეთნიკური წმენდა, განსხვავებით ბოსნიისა და ჰერცეგოვინისგან.

კოსოვო იყო იუგოსლავიის დაქვემდებარებაში და წარმოადგენდა მის მეორე ავტონომიურ რეგიონს ფედერაციის შემადგენლობაში. რეგიონი განლაგებულია ისტორიული სერბიის ტერიტორიაზე და მის

მოსახლეობას ძირითადად ალბანელები შეადგენენ. 1991 წლის აღწერის მიხედვით, კოსოვოს მოსახლეობის 94% თავს ალბანელად ცნობს, 5.3%-ს შეადგენენ სერბები და 0.7%-ს სხვა ერების წარმომადგენლები (ბოსნიელები, თურქები, რუმინელები და ეგვიპტელები)[1].

კოსოვოში ალბანელებსა და სერბებს შორის ეთნიკური დაპირისპირებები დაიწყო 1980-იან წლებში იოსებ ბროზ ტიტოს გარდაცვალების შემდეგ. კოსოვოს ეთნიკური კონფლიქტის ფესვები ღრმად მიდის ისტორიაში. ალბანელები თავს მიიჩნევენ ილირიელების მემკვიდრეებად. ილირიელები კოსოვოში სერბების დასახლებამდე ცხოვრობდნენ. სერბებს კი კოსოვო მიაჩნიათ სერბულ იერუსალიმად, ანუ წმინდა მიწად[2]. ალბანელებიც და სერბებიც კოსოვოს მიიჩნევენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოდ. კოსოვომ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო დეიტონის სამშვიდობო ხელშეკრულების ხელმოწერისას 1995 წელს[3]. მანამდე საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიპყრობილი იყო ბოსნია-ჰერცეგოვინას ომისადმი. ამ პერიოდში, სერბია თვლიდა, რომ კოსოვოს საკითხი ქვეყნის შიდა პრობლემა იყო და არ საჭიროებდა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ჩარევას.

1990-იან წლებში, ყოფილი იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, სერბია სეპარატისტულ წნეხს გამოეხმაურა კოსოვოს ალბანელი მოსახლეობის ბრუტალური რეპრესიებით, რომლებიც დასრულდა მხოლოდ ნატოს სამხედრო ჩარევის გზით 1999 წელს[4]. ბელგრადის უკანასკნელი მცდელობა იყო კოსოვოდან ალბანელების განდევნა (რომლებიც უკვე

---

[1]**ტონკა კოსტანდინოვა**, "სამნაწილიანი გამოცანა": კულტურის, საერთაშორისო ურთიერთობების და გლობალიზაციის ურთიერთკავშირი, http://culturaldiplomacy.org/culturaldiplomacynews/participant-papers/academy/Tonka-Kostadinova-Cultural-diplomacy-in-war-affected-societies.pdf(13.06.2022) 18.10.2022

[2] **აგონ დემიაჰა**. ეთნიკური ურთიერთობები კოსოვოში, გვ.183.

3 დეიტონის სამშვიდობო ხელშეკრულება, https://www.osce.org/bih/126173 (13.06.2022)

[4] **ევგენი რიაბინინი,** გარე ფაქტორები კოსოვოს ეთნისეპარატისტულ კონფლიქტში, 2014, გვ.194.

1.5 მილიონს შეადგენდნენ) 1998 წელს. იმავე წლის ოქტომბერში, ეუთომ შეაფასა სლობოდან მილოშევიჩის პოლიტიკა, როგორც "მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ევროპაში ჩადენილი ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ"[1]. მანამდე (1998 წლის მარტსა და სექტემბერში), გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო ორი რეზოლუცია: პირველი რეზოლუცია (N 1160) სასტიკად გმობდა ადამიანის უფლებების დარღვევებს კოსოვოში, ხოლო მეორე (N 1199) მოითხოვდა ყველა მილიტარისტული და პარამილიტარისტული ქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოცემულ რეგიონში. 1999 წლის 24 მარტს ნატომ დაიწყო დაბომბვა.

2008 წლის 17 თებერვლით დათარიღებული აქტით, კოსოვოს პარლამენტმა ერთხმად გამოაცხადა კოსოვოს დამოუკიდებლობა[2]. 2008 წლის 15 თებერვალს, გაეროს უშიშროების საბჭოს შეხვედრაზე, 15 წევრიდან 5-მა (აშშ-მ და ევროკავშირმა) მხარი დაუჭირა კოსოვოს დამოუკიდებლობას.

2010 წლის ივნისში სარაევოში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც განიხილებოდა დასავლეთ ბალკანეთის მომავალი. დღის წესრიგში იდგა რეგიონის ქვეყნების - სერბიის, ხორვატიის, მაკედონიის, მონტენეგროს, ბოსნიისა და ჰერცეგოვინისა და ალბანეთის ევროინტეგრაციის საკითხი. ევროკავშირის თანახმად, ამ ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების საკმაოდ რეალისტური პერსპექტივა არსებობდა. ასევე გამოითქვა თვალსაზრისი, რომ რეგიონის სტაბილურობა დამოკიდებული იყო მის ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე. მაგრამ კოსოვო ჯერ არ იყო ამ ქვეყნების სიაში. მეორე მხრივ, სერბეთს წაუყენეს პირობა, რომ მას უნდა მოეგვარებინა ურთიერთობები კოსოვოსთან და ეღიარებინა მისი

---

[1] **იური მკრტუმიანცი,** ბრძოლა კოსოვოსთვის, http://national-idea.am/articles.php?id=27 (13.06.2022)

[2] **რინორ რექსეფი, ვიგან საჰიტი**. მოლაპარაკებები კოსოვოსა და სერბეთს შორის ,kosovo-serbia-negotiations.pdf (02.12.2022)

დამოუკიდებლობა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა დასმულიყო სერბეთის ევროკავშირში გაწევრიანების საკითხი[1].

10 სექტემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზილუცია კოსოვოს საკითხთან დაკავშირებით. რეზოლუცია მოუწოდებდა ბელგრადისა და პრიშტინას ხელისუფლებას დაეწყოთ მოლაპარაკებები, რომლებშიც შუამავლის როლს ევროკავშირი შეასრულებდა. რეზოლუცია არ ახსენებდა კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის ცალმხრივად აღიარებას. გარდა ამისა, მხედველობაში მიიღეს საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამებოდა საერთაშორისო იურიდიულ ნორმებს.

მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების დადგენილებებისა, კოსოვოს საკითხი კვლავ გადაუწყვეტელია. კოსოვოს პრიორიტეტს წარმოადგენს შიდა პრობლემების მოგვარება. დღევანდელ რეალობაში კოსოვოს უამრავი პრობლემა აქვს მოსაგვარებელი: სახელმწიფო ენის პრობლემა, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ტერიტორიული საკითხები.

სახელმწიფო ენის პრობლემა.

კოსოვოს ორი ოფიციალური ენა არის ალბანური და სერბული. 2006 წელს ალბანური და სერბული ოფიციალურ ენებად იქნა აღიარებული. კოსოვოში საუბრობენ ალბანური ენის ღეგურ დიალექტზე, რომელიც ასევე ცნობილია „კოსოვარის“ სახელით. სალიტერატურო ალბანური გამოიყენება წერილობით კომუნიკაციასა და მედიაში. სერბო-ხორვატული, იგივე ბოსნიურ-ხორვატულ-სერბული, არის ენა, რომელზეც საუბრობენ სერბები, ბოსნიელები, ხორვატები და მონტენეგროელები. და მაინც, ყველა მათგანს ურჩევნია საკუთარი ეთნოსის ენაზე საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ ერთმანეთის ენა ესმით. ბოშები საუბრობენ სერბულად ან

[1] **სურენ სარიანი,** კოსოვოს საკითხის შესახებ, http://www.noravank.am/arm/articles/detail.php?ELEMENT_ID=5041 (12.06.2022)

რუმინულად, აშკალები და ეგვიპტელები საუბრობენ ალბანურად. თურქულად საუბრობენ თურქები და ზოგი ალბანელი[1].

კოსოვოს ყველა მცხოვრებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია დედაენაზე საუბარი. სლავისა მლადენოვიჩი, ენის კომისიის თავმჯდომარე, აღნიშნავს: "ენობრივი უფლებები გავლენას ახდენს მუშაობაზე, განათლებაზე, ჯანდაცვასა და ბევრ სხვა სფეროზე"[2]: ორი სახელმწიფო ენა - ალბანური და სერბული - მრავალ სერიოზულ კონფლიქტს იწვევს ეთნიკურ ალბანელებსა და სერბებს შორის.

2006 წელს კოსოვომ მიიღო კანონი ენის შესახებ, რომლის თანახმადაც, ალბანური და სერბული ითვლება სახელმწიფო ენებად. ამდენად, სახელმწიფო, პოლიტიკური ინსტიტუციები, სასამართლო, საჯარო დაწესებულებები, მედია და პრესა ვალდებულნი არიან თანაბრად გამოიყენონ ორივე ეს ენა. "მნიშვნელოვანია ალბანური ტექსტები ითარგმნოს ალბანურიდან სერბულად და პირიქით, რადგან ორივე ოფიციალური ენაა", - აღნიშნავს მლადენოვიჩი. "კოსოვოს ცოტა მცხოვრებს თუ ექნება გამართული სერბული ენით შევსებული სოციალური ქსელი", დაამატა მლადენოვიჩმა. მან მაგალითად მოიყვანა კოსოვოს პრეზიდენტის ჰაშიმ ტაჩის განცხადებები, რომლებიც ერთდროულად სერბულად და ალბანურად ქვეყნდება. მლადენოვიჩმა ასევე გამოთქვა წუხილი იმის გამო, რომ კოსოვოში არის კვალიფიციური თარჯიმნების პრობლემა, რადგან ტექსტებს სათანადოდ ვერ თარგმნიან სერბულიდან ალბანურად და პირიქით[3].

ურთიერთობები ალბანელებსა და სერბებს შორის.

ალბანელებსა და სერბებს შორის კონფლიქტის შემდეგ წლებია გასული, მაგრამ ამ ორი ერის წარმომადგენლები დღემდე არ

---

[1]ენები, რომლებზეც საუბრობენ კოსოვოში, https://www.beinkosovo.com/languages-spoken-in-kosovo/ (12.06.2022)

[2] **სლავისა მლადენოვიჩი**, ენა: კოსოვოს პრობლემა, რომელზეც არავინ საუბრობს, https://balkaninsight.com/2018/05/04/languages-the-kosovo-problem-nobody-talks-about-04-26-2018/ (12.06.2022)

[3] იქვე

შერიგებულან. მშობლების თაობა, რომელიც ომის თვითმხილველი იყო, სიძულვილს შვილების თაობას გადასცემს.

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ტერიტორიული პრობლემა. ალბანელი და სერბი ხელისუფლები თავიანთ თვალსაზრისებს გამოთქვამენ ამ საკითხთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მოსაზრებაა კოსოვოს დაყოფა, მაგრამ ამ მოსაზრებას მხარს არ უჭერს ალბანეთი, მაკედონია და მონტენეგრო.

მეორე ვარიანტი არის ის, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ კოსოვოს მიანიჭოს სტატუსი, რომლის თანახმადაც კოსოვოს ალბანელები, რომლებიც მოსახლეობის 90%-ს შეადგენენ, მოიპოვებენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა კონსტიტუცია, მთავრობა, უშიშროების ორგანოები, ეროვნული დროშა, ჰიმნი და საერთაშორისო სტრუქტურებში გაწევრიანების უფლება, ანუ კოსოვოს ენიჭება დამოუკიდებლობა სერბეთის საზღვრებში, მაგრამ არა აქვს ვერტიკალური ურთიერთობა ბელგრადთან. კოსოვოს არა აქვს უფლება შეუერთდეს ალბანეთს, ანუ „დიდი ალბანეთის“ საკითხი მოხსნილია დღის წესრიგიდან[1].

სერბეთის ხელისუფლებამ გამოთქვა პრობლემის მოგვარების საკუთარი თვალსაზრისი. სერბეთის პრეზიდენტმა ალექსანდერ ვუჩიჩმა სერბები და ალბანელები დიალოგისთვის მოიწვია. ვუჩიჩის თანახმად, უაზრობაა ლოდინი, სანამ ვინმე სერბიას კოსოვოს დაუბრუნებს. პრეზიდენტის წინადადება უფრო დეტალურად წარადგინა საგარეო საქმეთა მინისტრმა ივიცა დაჩიჩმა. მან განაცხადა, რომ სერბულმა თემმა, მართლმადიდებლურმა მონასტრებმა და ეკლესიებმა კოსოვოში სპეციალური სტატუსი უნდა მიიღონ. სერბულ ტელეარხ Happy TV-სთან ინტერვიუში, დაჩიჩმა აღნიშნა, რომ სერბეთი განაგრძობს კოსოვოს დამოუკიდებლობის უარყოფის კამპანიას, სანამ მხარეები შეთანხმებას არ მიაღწევენ. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ სერბია დროებით დაასრულებს თამაშიდან გასვლის

[1]**ტატულ აკობიანი, კოსოვო და ყარაბახი**, https://hetq.am/hy/article/5860 (07.06.2022)

პოლიტიკას იმ პირობით, თუ კოსოვო შეწყვეტს საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის თაობაზე განაცხადების შეტანას[1].

ვაჭრობის, ტურიზმის და ტელეკომუნიკაციების მინისტრმა რასიმ ლიაჯიჩმა გამოთქვა წინადადება კოსოვოელ ალბანელებთან ურთიერთობის დარეგულირების შესახებ. ტერიტორიული პრობლემის მოგვარებამდე, აუცილებელია საზღვრების საკითხის გადაწყვეტა. საზღვრები სხვადასხვაგვარი იყო სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში. სამხედრო დაპირისპირებამდე, საზღვრების განაწილება ასე განიხილებოდა: კოსოვო უნდა იყოს სერბეთის ნაწილი. ხოლო მეტოხია - ალბანეთის. მაგრამ ამ ვერსიამ დაკარგა აქტუალობა და თითქმის 250 ათასმა სერბმა და მონტენეგროელმა დატოვა კოსოვო. მილორად დოდიკმა, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სერბმა პრეზიდენტმა, გამოთქვა აზრი, რომ კოსოვოს ჩრდილოეთ რეგიონები უნდა მოექცეს ბელგრადის კონტროლის ქვეშ.

კიდევ ერთი ალტერნატივა არის კოსოვოსა და მეტოხიის გაყოფა, მაგრამ ამ მოსაზრებას არავინ უჭერს მხარს. იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი ბროზ ტიტოც კი ამბობდა, რომ პრობლემის ასე მოგვარება არ არის მიზანშეწონილი. სერბული მართლმადიდებელი ეკლესიაც ეწინააღმდეგება ამ იდეას.

2015 წელს, ევროკავშირის ჩარევის შედეგად, ვუჩიჩი დაეთანხმა მის ალბანელ კოლეგას - ის. მუსტაფას, რომ ავტონომია უნდა მიეცათ კოსოვოელი სერბებისთვის. ამ შეთანხმების მიხედვით, კოსოვოს სერბულ თემს უნდა ჰყავდეს საკუთარი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, ჰქონდეს ეროვნული ასამბლეა, დროშა, გერბი, და ძალაუფლება ეკონომიკის, განათლების და ჯანდაცვის სფეროებში. ჩრდილოეთ კოსოვო არ აღიარებს ბელგრადისა და პრიშტინას ხელისუფლებას. ვუჩიჩს უნდოდა „ბოსნიური სცენარის“

[1]**ბლედარ კალიუ,** საგარეო საქმეთა მინისტრი დაჩიჩი: სერბეთი არ შეწყვეტს კოსოვოს აღიარების საწინააღმდეგო კამპანიას, სანამ შეთანხმება არ იქნება მიღწეული,
https://exit.al/en/2020/03/11/foreign-minister-dacic-serbia-wont-stop-kosovo-derecognition-campaign-until-deal-is-reached/
(08.06.2022)

განხორციელება ჩრდილოეთ კოსოვოში[1]. ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ადგილობრივ სერბებს აქვთ ავტონომია, ჰყავთ პრეზიდენტი, მთავრობა, აქვთ დიპლომატიური ურთიერთობები სერბეთთან, შეთანხმებული აქვთ შიდა პოლიტიკა სარაევოსთან. ვუჩიჩის ეს წინადადება უგულებელყო კოსოვოს ხელისუფლებამ.

კონფლიქტის ამჟამინდელი მდგომარეობა

მიუხედავად ზემომოყვანილი წინადადებებისა, ურთიერთობა კოსოვოსა და სერბეთს შორის კვლავ დაძაბული რჩება. კოსოვო-სერბეთის კონფლიქტი, რომელიც ხშირად გადადის სამმხრივ კოსოვო-სერბულ-ალბანურ კონფლიქტში, უკვე გასცდა სამი ქვეყნის ფარგლებს და გლობალური მსჯელობის საგნად იქცა. აქ ერთმანეთს უპირისპირდება აშშ-სა და რუსეთის, ევროკავშირისა და რუსეთის ინტერესები, და, მეორე მხრივ, ერთმანეთს ემთხვევა ალბანეთის, კოსოვოსა და აშშ-ს ინტერესები.

კოსოვოს ხელისუფლების პოლიტიკური კურსი მიმართულია აშშ-სა და ნატოსკენ. კოსოვოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა რამოს ჰარადინაჯმა აღნიშნა: «ნატოში გაწევრიანება კოსოვოს სახელმწიფო და სამოქალაქო მიზანია. ჩვენ მივეკუთვნებით დემოკრატიული ქვეყნების ჯგუფს, რომელთა მიზანია მშვიდობის, უსაფრთხოების და სტაბილურობის გაძლიერება". სერბეთი თვალყურს ადევნებს კოსოვოში მოვლენების განვითარებას. ახლახანს სერბეთის ყურადღების ცენტრში მოექცა კოსოვოს საპარლამენტო არჩევნები.

ამ არჩევნებმა კიდევ უფრო გააძლიერა რეგიონის დაყოფის ტენდენცია. დასავლეთს სჯერა, რომ არჩევნების შემდგომ განახლდება დიალოგი ბელგრადსა და პრიშტინას შორის.

სერბეთსა და კოსოვოს ურთიერთობები მწვავდება ყველა შესაძლო მიზეზის გამო. სერბეთის პრეზიდენტი ალექსანდრე ვუჩიჩი

---

[1] **გერარკინა ტუჰინა**, კოსოვომ და სერბეთმა განაახლეს მოლაპარაკებები ევროკავშირის მხარდაჭერით, https://balkaninsight.com/2015/02/09/kosovo-and-serbia-resume-eu-backed-talks/ (08.04.2022)

აცხადებს, რომ კონფლიქტი სერბეთსა და კოსოვოს შორის კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

კოსოვოს ალბანელებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა 2008 წელს, მაგრამ სერბეთის კონსტიტუციის თანახმად, კოსოვო სერბეთის განუყოფელი ნაწილია. სერბეთი ფინანსურ დახმარებას უწევს კოსოვოში მცხოვრებ სერბებს.

2013 წელს სერბეთი და კოსოვო შეთანხმდნენ, რომ ურთიერთობები მოეგვარებინათ ევროკავშირის შუამავლობით[1]. მიუხედავად ამისა, წარმატებას ვერ მიაღწიეს: არცერთ მხარეს არ გადაუდგამს სერიოზული ნაბიჯები კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისკენ.

წლების მანძილზე, კოსოვოს დამოუკიდებლობის შესახებ საუბარი აკრძალული იყო სერბეთში, რადგან სერბების დიდი უმრავლესობა თვლის, რომ კოსოვო არის მართლმადიდებლობის აკვანი.

კონფლიქტის მოგვარების შესაძლო სცენარები

ა. კოსოვო სერბეთის ნაწილია, ხოლო მეტოხია - ალბანეთის;

ბ. კოსოვოს სერბებს აქვთ ავტონომია, ჰყავთ საკუთარი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, აქვთ ეროვნული ასამბლეა, დროშა, გერბი და ძალაუფლება ეკონომიკურ, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სფეროებში;

გ. სერბეთი სრულიად თმობს კოსოვოს.

ზემომოყვანილი შეხედულებები გამოთქვეს კოსოვოსა და სერბეთის ხელისუფლებმა. პირველი ორი ვარიანტი ერთხმად დაიწუნა კოსოვოს ხელისუფლებამ. მესამე ვარიანტთან დაკავშირებით სერიოზული უთანხმოება წარმოიშვა და ის დისკუსიის საგნად იქცა ბელგრადში. კოსოვოს პრობლემაზე საუბრისას, სერბეთის პრეზიდენტი ალ. ვუჩიჩი ამბობს, რომ საჭიროა კომპრომისზე წასვლა. ასეთმა განცხადებებმა შეარყია ვუჩიჩის რეპუტაცია სერბეთში, მას

[1] **კურილიოვი კ.პ.; შაბლოვსკი ვ.ს..** კოსოვოს კონფლიქტი (1999–2020): ამჟამინდელი მდგომარეობა და მოგვარების გზები, მოსკოვი, 2020, გვ.124.

გაუჩნდა პოლიტიკური მტრები. მაგრამ ვუჩიჩი რეალისტურად აფასებს სიტუაციას. მან იცის, რომ სერბეთს არა აქვს ბერკეტები კოსოვოში. 2018 წლის 18 მაისს, თავის გამოსვლაში მან განაცხადა: *„ჩვენ გვაქვს კოსოვოსთან ურთიერთობის ორი გზა: ან უნდა წავიდეთ მოლაპარაკებებზე ან უნდა გავაგრძელოთ ცივი დაპირისპირება“.* ვუჩიჩმა დიდი მწუხარებით აღნიშნა: *«სჯობს თავი არ მოვიტყუოთ. კოსოვოში არ არსებობს ხელშესახები სერბული ხელისუფლება გარდა იმ ხელისუფლებისა, რომელიც სკოლებსა და საავადმყოფოებს მართავს“*[1].

პარლამენტის სხდომაზე, რომელიც კოსოვოს საკითხს განიხილავდა, ვუჩიჩმა თქვა: "უნდა ვაღიაროთ დამარცხება. ჩვენ დავკარგეთ ეს ტერიტორია". მან ასევე აღნიშნა: «სერბეთმა უნდა აღიაროს, რომ მან დაკარგა კონტროლი კოსოვოზე". პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ ბელგრადი უნდა წავიდეს კომპრომისზე და მოძებნოს პრიშტინასთან შერიგების გზები.

ვუჩიჩის ეს განცხადება გულისხმობს, რომ სერბიამ აღიარა კოსოვოს დე ფაქტო დამოუკიდებლობა.

დასკვნა

კოსოვოსა და სერბეთის კონფლიქტისა და ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ სერბეთის მიერ შემოთავაზებული კონფლიქტის მოგვარების გზები მიუღებელია კოსოვოს ხელისუფლებისთვის.

სერბეთს არა აქვს ძალაუფლება კოსოვოში. სერბეთის პრეზიდენტი ალ. ვუჩიჩი შეურიგდა კოსოვოს დაკარგვის აზრს. სანამ ბელგრადი და პრიშტინა შეთანხმებამდე არ მივლენ, კოსოვოს საკითხი ვერ გადაწყდება, სერბეთს კი არ გააჩნია კოსოვოს დაბრუნების

[1] **ივან სეკულარაჩი, ალექსანდრ ვასოვიჩი**, მიიღეთ რეალობა, სერბეთი არ აკონტროლებს კოსოვოს: ვუჩიჩი. https://www.reuters.com/article/us-serbia-kosovo/accept-reality-serbia-does-not-control-kosovo-vucic-idUSKCN1SX1U2 (10.06.2022)

არანაირი რესურსი. სერბეთის დე ფაქტო მთავრობა აღიარებს კოსოვოს დაკარგვას. კოსოვოში ძალაუფლება ალბანელებს ეკუთვნის. ამავე დროს, არ გამოვრიცხავთ, რომ სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობის გაზრდის შემთხვევაში, შეიძლება განახლდეს საომარი მოქმედებები, განსაკუთრებით, თუ გაძლიერდება ექსტრემისტული და ნაციონალისტური მიმართულებები, რომლებიც მიზნად ისახავს „დიდი ალბანეთის“ შექმნას. „დიდი ალბანეთის“ შექმნით ეს კონფლიქტი დასრულდება, რადგან სერბეთის ხელისუფლება აღიარებს თავის მარცხს კონფლიქტის მოგვარების საქმეში. შესაძლოა კონფლიქტის მოგვარება არ იყოს მარტივი, რადგან კონფლიქტი სცილდება კოსოვოსა და სერბეთის ურთიერთობების ვიწრო ჩარჩოს.

კოსოვოს კონფლიქტის მოგვარების საკითხიც სცილდება კოსოვოსა და სერბეთის ფარგლებს. ზესახელმწიფოები ერთმანეთს ეჯიბრებიან ბალკანეთის საკითხის მოგვარებასა და კოსოვოს კონფლიქტის საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებაში. ევროკავშირიც და ნატოც ვარაუდობენ, რომ ისინი აიღებენ პასუხისმგებლობას ბალკანეთში სტაბილურობის დამყარებაზე.

ბიბლიოგრაფია

ტატულ აკობიანი, კოსოვო და ყარაბახი,
https://hetq.am/hy/article/5860 (07.06.2022)
იური მკრტუნიანცი, ბრძოლა კოსოვოსთვის,
http://national-idea.am/articles.php?id=27 (13.06.2022)
სურენ სარიანი, კოსოვოს საკითხისთვის,
http://www.noravank.am/arm/articles/detail.php?ELEMENT_ID=5041
(12.06.2022)
აგონ დემიაჰა, ეროვნებათშორისი ურთიერთობები კოსოვოში, ტეტოვოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი,
გერარქინა ტუჰინა, კოსოვომ და სერბეთმა განაახლეს მოლაპარაკებები ევროკავშირის მხარდაჭერით,

https://balkaninsight.com/2015/02/09/kosovo-and-serbia-resume-eu-backed-talks/ (08.04.2022)

ტონკა კოსტადინოვა, "სამნაწილიანი გამოცანა": კულტურის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და გლობალიზაციის ურთიერთკავშირი, https://www.culturaldiplomacy.org/academy/content/pdf/participant-papers/academy/Tonka-Kostadinova-Cultural-diplomacy-in-war-affected-societies.pdf (13.06.2022)

სლავისა მლადენვიჩი, ენები: კოსოვოს პრობლემა, რომელსაც არავინ ახსენებს, https://balkaninsight.com/2018/05/04/languages-the-kosovo-problem-nobody-talks-about-04-26-2018/ (12.06.2022)

ბლედარ კალიუ, საგარეო საქმეთა მინისტრი დაჩიჩი: სერბეთი არ შეწყვეტს კოსოვოს აღიარების საწინააღმდეგო კამპანიას, სანამ შეთანხმება არ იქნება მიღწეული, https://exit.al/en/2020/03/11/foreign-minister-dacic-serbia-wont-stop-kosovo-derecognition-campaign-until-deal-is-reached/ (08.06.2022)

ივან სეკულარაჩი, ალექსანდერ ვასოვიჩი, მიიღეთ რეალობა, სერბეთი არ აკონტროლებს კოსოვოს: ვუჩიჩი. https://www.reuters.com/article/us-serbia-kosovo/accept-reality-serbia-does-not-control-kosovo-vucic-idUSKCN1SX1U2 (10.06.2022)

ალექსანდრ ვუჩიჩი, სერბეთის პრეზიდენტი: ჩენ დავკარგეთ კოსოვო, https://emerging-europe.com/news/serbian-president-we-have-lost-kosovo/ (10.06.2022)

რამოს ჰარადინაჯი, ნატოს წევრობა კოსოვოს ეროვნული მიზანია, https://regnum.ru/news/polit/2623319.html (09.06.2022)

რინორ რექსეპი, ვიგან საჰიტი მოლაპარაკებები კოსოვოსა და სერბეთს შორის kosovo-serbia-negotiations.pdf (02.12.2022)

კურილიოვი კ.პ.; შაბლოვსკი ვ.ს.. კოსოვოს კონფლიქტი (1999–2020): ამჟამინდელი მდგომარეობა და მოგვარების გზები, მოსკოვი, 2020, გვ.112-127.

ევგენი რიაბინინი, გარე ფაქტორები კოსოვოს ეთნო-სეპარატისტულ კონფლიქტში, 2014, გვ.191-196.

დეიტონის სამშვიდობო ხელშეკრულება,
https://www.osce.org/bih/126173 (13.06.2022)

ენები, რომლებზეც საუბრობენ კოსოვოში,
https://www.beinkosovo.com/languages-spoken-in-kosovo/ (12.006.2022)